

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 255
2022 წლის 30 დეკემბერი
ქ. გორი

**მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის
დამტკიცების შესახებ**


საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო 2017 წლის 31 დეკემბრამდე მიეღოთ მუნიციპალიური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ, ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ, ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობის შესახებ, მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმების შესახებ, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებისა და ვადების, პასუხისმგებელ პირების, სავარაუდო ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ და ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №41 განკარგულებით დამტკიცდა „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომლის მოქმედების ვადაც იწურება 2022 წლის ბოლოს, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს მუნიციპალური წარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა დანართის თან ერთვის ფურცლად..
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

შიდა ქართლის რეგიონი
გორის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

2023-2028 წლებისათვის

2022 წელი

სარჩევი

ნაწილი 1 - რეზიუმე

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

2.3 გეგმის ამოცანები და მოზნობრივი შედეგები

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1 შესავალი

3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

3.3 ნარჩენების რაოდენობა

3.4 ნარჩენების პროგნოზირება

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

4.1 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

4.2 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

4.3 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

დეკარბონიზაცია

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები 32 ნაწილი 7 -

სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები.

ნაწილი 1 - რეზიუმე

გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად (ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი N13). აღნიშნული გეგმა წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის იურისდიქციაში ნარჩენების მართვას და შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას აკისრია ნარჩენების მართვის კუთხით ეროვნული კანონმდებლობის, კერძოდ, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრა, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა, ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა ადგილობრივ დონეზე, საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანი განხორციელების მიზნით; ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნარჩენების მართვის კუთხით.

ამასთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვისა და განხორციელების უზრუნველყოფა, მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016–2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევას ადგილობრივ დონეზე.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება მოხდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ჯგუფის მიერ, რომლის წევრები არიან: ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ჯგუფის უფროსი); გიორგი ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის უფროსის მოადგილე); ნიკა კარელიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის მდივანი); მამუკა ნიკუჭაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (ჯგუფის წევრი); დალი ტლაშაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის წევრი); ლალი ნალიკაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (ჯგუფის წევრი); არჩილ გიუნაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის წევრი); ქეთევან მჭედლიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი).

2022 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით მყარი ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 70%. მუნიციპალიტეტის 104 სოფლიდან მომსახურება 68 სოფელს მიეწოდება კონტეინერული სისტემით, სადაც განთავსებულია ლითონის 1,1მ³ მოცულობის კონტეინერები, აგრეთვე ამავე სოფლებში არის ვიწრო უბნები, სადაც არსებული ტექნიკით შეუძლებელია მომსახურება (დიდი გაბარიტების გამო).

გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციაა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ და ასევე, გორის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მოსაკრებლის კონტროლის განყოფილება.

გეგმის განხორციელების ყოველ ეტაპზე ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების აქტიურ ჩართულობას. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება გეგმის განხორციელების კოორდინირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ სხვა საქმიანობებთან.

ნაწილი 2- შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოს ეკისრება.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივ ირესურსების დაცვის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათშორის, მათ მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთ სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული ანვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარები ქვემ არსებული შპს „საქართველოს მყარინარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც, კანონის-“ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე და აქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი”¹ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები.

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და „ნარჩენების მართვის კოდექსი“-სმე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5-წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების მიმართ, მათშორის, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლის წყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების და აზბესტის მიმართ.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების

სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდამოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის სდასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენების აგანმის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენებისა და აღდგენის პროცესის ხარჯ-ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს.

კონკრეტულად, კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს (იხ. ქვემოთ, გრაფაში წარმოდგენილი ტექსტი კანონით განსაზღვრული კონკრეტული იმოთხოვნების შესახებ).

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ქალაქი გორი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, მდინარეების მტკვრისა და ლიახვის შესართავებთან. ქალაქი გორის ფართობი შეადგენს 18.8 კვადრატულ კილომეტრს, აქედან 60% არის ურბანული ხოლო 40% არაურბანულია. ურბანული ტერიტორია შეადგენს 11.5კმ², ხოლო არაურბანული 6.7კმ².

აქვე ქალაქის ფარგლებში მოედინება და მდ. ლიახვს ერთვის მდ. მეჯუდა, ხოლო თავის მხრივ მას თან ერთვისან შედარებით პატარა მდინარეები, ფშენა და თორთლა. მდინარე მტკვარი მოედინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით ქალაქის ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა გრუნტის ყამირის წყლებით, რომელთაც აქვთ ძლიერი მიწისქვეშა ნაკადი, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ყამირის წყლები არ არის აგრესიული, გორში ძირითადად ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა.

1770 წლის აღწერით ქალაქში 500 სახლი ყოფილა, 1806 წლის სტატისტიკურ მონაცემებში 1200 მაცხოვრებელი ფიქსირდება, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსკენ 10 000 მაცხოვრებელი ფიქსირდება ქალაქში. დღეის მდგომარეობით ფიქსირდება 48 300 მაცხოვრებელი.

მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 27 წლის (1990 წლიდან) მანძილზე 20627 კაცით, ანუ 29,92%-ით შემცირდა. წლების მიხედვით დინამიკა მოცემულია № 1 ცხრილში.

(ქალაქ გორის მოსახლეობის რაოდენობა ასე იცვლებოდა: 1865 წელი — 5,1 ათასი, 1897 წელი — 10,5 ათასი, 1914 წელი — 25,7 ათასი, 1977 წელი — 54,1 ათასი, 1988 წელი — 61,2 ათასი. 2014 წ. - 48,1 ათასი.)

ცხრილი №1. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით

| წელი | 1865 | 1897 | 1914 | 1977 | 1989 | 2002 | 2005 | 2014 |
|------------|-------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| მოსახლეობა | 5 100 | 10 500 | 25 700 | 54 100 | 68 924 | 49 522 | 46 680 | 48 143 |

მოსახლეობის სიმჭიდროვე 2014 წ. აღწერის მდგომარეობით შეადგენს 2866 კაცს 1კვ.კმ.-ზე. ფართობი - 16,85 კმ². მ/შ: ურბანული - 11.5 კმ² არაურბანული - 5,35 კმ²

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სოფლის მეურნეობა, შიდა მეურნეობის გადამუშავება, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სხვა მომსახურება. ქალაქში არის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. სამშენებლო ორგანიზაციები და სავაჭრო ობიექტები.

ქალაქში ეკონომიკის დარგებიდან ძირითადად განვითარებული არის ღვინის ქარხანა, ხის გადამამუშავებელი საწარმოები და ა.შ.

ქალაქში არის რამდენიმე საავადმყოფო, მათ შორის გორის სამხედრო ჰოსპიტალი.

გორის მუნიციპალიტეტი განთავსებულია შიდა ქართლის ვაკეზე, მისი ფართობი შეადგენს 230,857 ჰა-ს. მუნიციპალიტეტში კლიმატი კონტინენტურია.

გორის მუნიციპალიტეტის ძირითადი მდინარეებია მტკვარი, ლიახვი, ტანა და თეძამი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შედის 104 სოფელი.

სტატისტიკა მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ასეთია:

გორის მუნიციპალიტეტის (გორის რაიონის) მოსახლეობის რაოდენობა

2007 წლის აღწერის მონაცემებით შეადგენს 98 600 ადამიანს,

2009 წლის აღწერის მონაცემებით შეადგენს 85 000 ადამიანს,

2011 წლის აღწერის მონაცემებით შეადგენს 90 700 ადამიანს,

მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის აღწერის მონაცემებით 77 600 ადამიანს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში არის სამი ამბულატორიული ცენტრი, ღვინის ქარხანა, ხილის გადამამუშავებელი ქარხანა სამაცივრე მეურნეობები, მეთევზეობა-საკალმახეები. მუნიციპალიტეტში ეკონომიკის დარგებიდან წამყვანია სოფლის მეურნეობა.

2.3 გეგმის ამოცანები და მოზნობრივი შედეგები

გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2023 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლების, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
 - ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 95% 2025 წლისთვის;
 - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2025 წლისთვის;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა /რემედიაცია 2025 წლისთვის;
 - ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
 - ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2024 წლისთვის;
 - ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქაღალდი 30% 2025 წლისთვის;
 - პლასტიკი 30% 2025 წლისთვის;
 - მინის 20% 2025 წლისთვის;
 - მეტალის 70% 2025 წლისთვის;
 - მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.
 - გორის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2025 წლისთვის;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2025 წლისთვის;
 - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე.

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1 შესავალი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას გორის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მუნიციპალური ა(ა)იპ “გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“, რომლის 100%-ის წილის მფლობელია გორის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული კომპანიის მოვალეობაში შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ბაღის ნარჩენისა და მკვდარი ცხოველების გატანა.

| | | | | |
|---------|-----------------|-------------------------------------|------|--|
| QQ034QD | GAZ C41R13 | X96C41R13K1107875-X89785402K0FC6035 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ035QD | GAZ A22R32-1070 | X96A22R32K2765616-X3E351280K0000708 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ036QD | GAZ A22R32-1070 | X96A22R32K2764945-X3E351280K0000710 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ037QD | GAZ A22R32-1070 | X96A22R32K2765446-X3E351280K0000711 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ038QD | GAZ C41R13 | XVCMD41R1K0000140-X96C41R13K1111046 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ039QD | GAZ C41R13 | XVCMD41R1K0000140-X96C41R13K1110709 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |

| | | | | |
|---------|--------------|-------------------|------|--|
| BS087BS | kamazi 53229 | XTC541000N0242592 | 1992 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| QQ099CC | hiun. Tuqson | KMHJN81BP7U610527 | 2007 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| FS652SF | honda strimi | RN11306428 | 2003 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| CC062JJ | ფიატ დობლო | ZFA22300005730859 | 2003 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |

გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

| | | | | |
|---------|---------------------------|-------------------|------|--|
| BS265BS | zili 431410 | 2755974 | 1988 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| VV547V | eqskavatori JCB 3CX14M2WM | JCB3CX4TCK2825554 | 2019 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| FF053H | eqskavatori JCB 3CX | JCB3CXMC81340860 | 2008 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| AA632FA | fordi tranziti | WFOCXXGBVCWA15776 | 1998 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| IL119LL | fordi veni | WFOHXXGBFHYT44567 | 2000 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| OD043DD | fordi kargo | NM0R35TEDDCY95881 | 2012 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| AA590YY | nissan qabsTari | VWASBFTL011138335 | 2001 | ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო |
| AA184AN | KATMERCILER RCV KAT20CBM | NMB37537312181355 | 2016 | გორის მუნიციპალიტეტის მერია (კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| AA185AN | KATMERCILER RCV KAT13CBM | NMB95050112181270 | 2016 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| ZZ988ZS | KATMERCILER RCV KAT20CBM | NMB37537312181356 | 2016 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| ZZ989ZS | KATMERCILER RCV KAT13CBM | NMB95050112180992 | 2016 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| SQ983SS | სინოტრუკ 268 | LZZABLMF0BC147550 | 2011 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| GG429QQ | kamazi 55111 | OOO9365 | 1989 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |

გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

| | | | | |
|---------|-----------------------|-------------------|------|---|
| QQ022TT | ტოიოტა ქემრი | JTNBB46K873041905 | 2006 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| ID335DD | ვაზ 2131 | XTA21310030046177 | 2003 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| QQ508TT | ვაზ 21213 | XTA21213021671217 | 2002 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| BB539S | eqskavatori CASE 580T | FNH0580TNDHH01351 | 2013 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |
| QQ509TT | mersedes vito | WDF63809413483580 | 2002 | გორის მუნიციპალიტეტის მერია(კეთილმოწყობის სააგენტოს მფლობელობაში) |

კომპანია ასევე ახდენს შეგროვების მომსახურების გაწევას გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და კომპანიებისათვის, საწარმოებისათვის, რომლებიც მის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ.

3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები;
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბადის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები;

- საამშენებლო ნარჩენები;

3.3 ნარჩენების რაოდენობა

ნარჩენების სახეობების დახარისხება არ ხდება.

შპს „საქართველოს მყარინარჩენების მართვის კომპანიამ“ გვაცნობა, რომ მიმდინარე წელს იგეგმება შიდა ქართლში ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და შესაბამისად გორის ნაგავსაყრელზე ჩატარდება მორფოლოგიური კვლევა. როგორც ცნობილია რეგიონში ჩატარებული მორფოლოგიური კვლევები ერთმანეთის მსგავსია, ამ ეტაპზე გვაქვს მხოლოდ ქ. ხაშურის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მორფოლოგიური კვლევა.

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები?;

ნარჩენების რაოდენობა

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება, რადგან არ მიმდინარეობს წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა.

საამშენებლო/ნგრევის შედეგად დაგროვილი ნარჩენები

მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი³, ასევე, საამშენებლო და ნგრევის ნარჩენების გატანა არ ხდება და მათი განთავსება წარმომქმნელების მიერ ხდება არალეგალურ ნაგავსაყრელებზე. შესაბამისად,

~~მუნიციპალიტეტს ამ ნაკადებზეც არ აქვს ინფორმაცია. თუმცა მშენებარე ჰიდროელექტო სადგურების მშენებლობისას საკმაოდ დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენები იქნა მშრალ ხეობებში განთავსებული,~~

სამრეწველო ნარჩენები

სამრეწველო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძირითადად, ხე-ტყის გადამამუშავებელი, ღვინის ქარხანა და საკონსერვო ქარხანა, რომლებსაც ხელშეკრულების საფუძველზე გააქვთ ნარჩენები.

სამშენებლო/ნგრევის შედეგად დაგროვილი ნარჩენები

მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი⁴, ასევე, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების გატანა არ ხდება და მათი განთავსება წარმომქმნელების მიერ ხდება არალეგალურ ნაგავსაყრელებზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს ამ ნაკადებზეც არ აქვს ინფორმაცია.

სამრეწველო ნარჩენები

სამრეწველო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იმ სოფლებში სადაც მომსახურება ხდება არის ტყვიავის ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც მუშაობს სეზონურად დაახლოებით ოთხ თვეს და ხილის გადამამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი მიაქვთ მეცხოველეობის ფერმებს საქონლის საკვებად, ამიტომ ამ ქარხანაში სამრეწველო ნარჩენი მცირე რაოდენობისაა.

3.4 ნარჩენების პროგნოზირება

~~ქალაქის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ნარჩენების რაოდენობის ზრდა, წლიდან წლამდე დინამიკას თუ დავაკვირდებით ხდება რაოდენობის ზრდა, იზრდება კომერციული ფართების რაოდენობა და განაშენიანების ფართობიც.~~

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე წლის განმავლობაში საშუალოდ 8700 ტონა ნარჩენის დაგროვება ხდება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 35%-ს არასრულფასოვნად მიეწოდება მომსახურება, უახლოეს მომავალში ეტაპობრივად იგეგმება მოსახლეობის ამ ნაწილისათვისაც სრულფასოვანი მომსახურების მიწოდება. შესაბამისად, მოსალოდნელია ნარჩენების მოცულობის გაზრდა, მომსახურების დაფარვის არეალის გაფართოვებასთან ერთად. რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიას ქალაქის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ნარჩენების რაოდენობის ზრდა, წლიდან წლამდე დინამიკას თუ დავაკვირდებით ხდება რაოდენობის ზრდა, იზრდება კომერციული ფართების რაოდენობა და განაშენიანების ფართობიც.

იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და საწარმოებისათვის, ეს ბუნებრივია გამოიწვევს მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ნარჩენების რაოდენობის ზრდას.

სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის რაიონების ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების მომსახურების სრულად დაფარვის შემთხვევაში ნარჩენების ყოველდღიურად შეგროვებული მთლიანი მოცულობა გაიზრდება დაახლოებით 4-5 ტონით.

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი~

როგორც შპს „საქართველოს მყარინარჩენების მართვის კომპანია“ გვაცნობა, აქამდე არ ჩატარებულა

~~მორფოლოგიური კვლევა. როგორც ცნობილია რეგიონში ჩატარებული მორფოლოგიური კვლევები ერთმანეთის მსგავსია, ამ ეტაპზე გვაქვს მხოლოდ ქ. ხაშურის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მორფოლოგიური კვლევა.~~

ნარჩენების შემადგენლობაზე მსჯელობისას, შეგვიძლია გამოვიყენოთ 2017 წელს დაწყებული ქ. ხაშურის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის ამ ეტაპზე არსებული შედეგები⁵.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის შედეგები, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის აღდგენადი ნარჩენების ამოღება შეიძლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ნარჩენების ნაკადიდან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება მუნიციპალიტეტის რეციკლირების პოტენციალის შეფასება.

№1 ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი (გასაშუალებული მაჩვენებელი ოთხივე სეზონისათვის)

| ნარჩენებისკატეგორია | საშუალო (% მაჩვენებელი) |
|------------------------|-------------------------|
| ორგანული | 42.72 |
| პოლიეთილენი/პლასტმასი | 12.84 |
| ქაღალდიდამუყაო | 11.19 |
| ბავშვისჰიგიენურისაფენი | 8.71 |
| ქსოვილი | 6.12 |
| მინისტარა | 5.95 |
| ტყავი/რეზინა | 3.26 |
| საამშენებლო | 3.17 |
| ჯართი | 2.27 |
| სხვანარჩენები | 2.20 |
| განს. ზედამხ. დაქვ. | 1.21 |
| დანაკარგი | 0.43 |

როგორც შედეგებიდან ვხედავთ ნარჩენების შემადგენლობიდან სამი ძირითადი ნაკადი შეგვიძლია გამოვყოთ, რომელსაც დომინანტური პოზიცია უჭირავს ნარჩენების მთლიან ნაკადში. ესენია: ორგანული ნარჩენები (42.72%), პოლიეთილენი/პლასტმასი (12.84%) და ქაღალდი და მუყაო (11.19%). შესაბამისად, ამ ნაკადებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება ნარჩენების მართვის რეციკლირების სისტემების დანერგვისას მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

ცხრილი №1. ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის განსაზღვრისათვის ჩატარებული კვლევის დროს განსაზღვრულ ძირითად კომპონენტთა რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები

| ნარჩენების ძირითად კომპონენტთა დასახელება | კგ | % მაჩვენებელი |
|---|--------|---------------|
| საანალიზო ნიმუში | 700 | |
| ორგანულიმასალები | 311.35 | 44.47 % |
| ქაღალდიდამუყაო | 64.95 | 9.28 % |
| პოლიეთილენი/პლასტმასი | 106.7 | 15.24 % |

| | | |
|------------------------|-------|--------|
| ქსოვილები | 53.2 | 7.6 % |
| სამშ. ნარჩენები | 23.9 | 3.41 % |
| პამპერსი | 42.65 | 6.09 % |
| მინა | 39.4 | 5.63 % |
| განსაკ.ზედამხედველობას | 13.8 | 1.97 % |
| ლითონისჭურჭელი | 11.85 | 1.69% |

| | | |
|---------------|-------|---------|
| ტყავიდარეზინა | 18.35 | 2.62 % |
| სხვანარჩენები | 7.04 | 1.06 % |
| სულჯამურად | 694.0 | 99.14 % |

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მომსახურებას მოსახლეობას უწევს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის 68 სოფელს, რომლებშიც განთავსებულია ლითონის 1,1 მ3 მოცულობის ნარჩენების შეგროვების კონტეინერები. სოფლებში საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენი იყრება სტიქიურ ნაგავსაყრელებზე. ზარის სისტემით სოფლებში მომსახურება არ ხდება იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ღია თვითმცლელი.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების 2%-ს (საუბარია ხილის გადამამუშავებელ პუნქტებსა და მეფრინველეობის ფაბრიკაზე)ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და გატანის მომსახურებას უწევს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი დიდ გაბარიტიანი ნარჩენების გატანა, რომლებიც საკმაოდ იშვიათად წარმოიქმნება, არ ხდება და მათი განთავსება წარმოქმნილების მიერ ხდება არალეგალურ ნაგავსაყრელებზე.

გორის მუნიციპალიტეტში ხდება ქუჩებისა და პარკების დასუფთავება. სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას კი თვითონ დაწესებულებებში ახდენს კერძო კომპანია „სუფთა სამყარო“, რომელთაც ნარჩენი დალუქული მიაქვთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე. ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის თანამშრომლების აყვანას და მათ ტრენინგს ახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ ხელმძღვანელი.

ყოველ დილით ხდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმება, საწვავით უზრუნვეყოფა და გრაფიკით განსაზღვრულ მარშრუტზე გასვლა. ეკიპაჟებს გააჩნიათ შესაბამისი რუკები, სადაც მონიშნულია ურნების განთავსების ადგილები, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს და მათი დაცვა. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. არც გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას, არც ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ არ აქვს ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების საამქრო, სატრანსპორტო საშუალებების მოვლა - შეკეთება ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ.

ნარჩენების შეგროვების პროცესის და მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური.

ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის თანამშრომლების აყვანას ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში ჩართული კომპანია თავად ახდენს, ხოლო უკვე აყვანილი თანამშრომლების ტრენინგი და მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდა მუნიციპალიტეტის მოვალეობას წარმოადგენს.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიას ნარჩენების შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონტეინერული სისტემით ხდება. კონტეინერებიდან შეგროვებული ნარჩენის გადატვირთვას ნაგავმზიდებში და ტრანსპორტირებას ქალაქ გორის ნაგავსაყრელზე.

მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის ურბანული მოსახლეობის 100%-ისათვის.

ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები ოფიციალური ნაგავსაყრელი

გორს გააჩნია ერთი ოფიციალური ნაგავსაყრელი, რომელიც ნარჩენების მართვის სააგენტოს საკუთრებაშია გორის მუნიციპალიტეტში სოფლებში არსებული ნარჩენების განთავსება ხდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, რომლის ფართობი 6.5 ჰა–ს შეადგენს. აღნიშნული ნაგავსაყრელი შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზეა. მასზე ნარჩენების განთავსება 2013 წლიდან ხდება. ძველი ნაგავსაყრელი ამ ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობდა.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ მოხდა აღნიშნული ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა, შემოღობვა. ნაგავსაყრელი აღჭურვილია სასწორით.

ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე შესვლა–გამოსვლა კონტროლირდება კომპანიის თანამშრომლების მიერ, ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების დაფარვა მიწის ფენით ხდება თითქმის ყოველდღიურად.

ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე მართო გორის მუნიციპალიტეტის თემის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენის განთავსება ხდება. (ამის გარდა ამ ნაგავსაყრელზე ნარჩენების შეგროვება ხდება ქალაქ გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებიდან).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე მანქანის საშუალებით ხდება.

საშუალო მანძილი სოფლებიდან ნაგავსაყრელამდე 50 კმ–ია.

ძველი ნაგავსაყრელი დაიხურა: არსებული ნარჩენები ჩაიყარა ღრმად გათხრილ სამარხში და დაიმარხა მიწის ფენით და საიზოლაციო მასალით.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

არალეგალური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტის თითქმის ზოგიერთ სოფელში გვხვდება განთავსებული, სავარაუდოდ 1-2 ჰექტარს შეადგენს. მუნიციპალიტეტის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს ადგილების დახურვა-რემიდიაცია, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

4.2 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

რაც შეეხება ნარჩენების აღდგენას, გორის მუნიციპალიტეტში არ არის საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა, არ არის შექმნილი სეპარირებული ნარჩენების შეგროვების პუნქტები.

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი კომპოსტირების პრაქტიკა. მოსახლეობა არ ახდენს ორგანული ნარჩენის კომპოსტად გამოყენებას და ზოგადად, ამ საკითხისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენს.

4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები.

2015 წელს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურში“ გამოყოფილი იყო 79,700 ლარი, რამაც შეადგინა გორის მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის 0.6 %. 2016 წელს გამოყოფილი იყო 129,000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 0,9 %-ს შეადგენს.

2016 წელს გაიზარდა მუნიციპალიტეტში დასუფთავების მომსახურების არეალი (ნარჩენების შეგროვების კონტეინერები განთავსდა კიდევ 24 სოფელში), გაიზარდა კონტეინერების რაოდენობა, შეძენილ იქნა ორი მერსედესის მარკის თვითმცლელი.

ერთი ტონა ნარჩენის ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღირებულება 2015 წელს შეადგენდა 14,55 ლარს, 2016 წელს კი – 13,08 ლარს.

ნარჩენების მართვაში ჩართულია 10 ადამიანი აქედან: ადმინისტრაციაში 2 ადამიანი, მძღოლი - 2 და მუშა - 6.

აქვე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ნორმატიული აქტები ჯარიმის ამოღების და ჯარიმის ამოღებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს კონტროლს მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების არამიზნობრივ განთავსებაზე, ხდება გაფრთხილების მიცემა და არ გათვალისწინების შემთხვევაში შესაბამისად ხდება დაჯარიმება. ქალაქის ტერიტორიაზე 2016 წელს გამოყოფილი დაფინანსება შეადგენდა 620800 ლარს ხოლო 2017 წელს 680000 ლარს.

რაც შეეხება ბოლო წლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ -ს სრული დაფინანსება შეადგენდა: 2020წ.-3560000ლ 2021წ.-4023000ლ 2022წ.-4320000 ლარს.

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

გორის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ნარჩენების მართვის სისტემების დახვეწის მიზნით მოვახდინეთ რუკების შექმნა, სადაც ასახულია მარშრუტები და ურნები. ამის საფუძველზე ხდება მარშრუტების ოპტიმიზაცია, რომ ეს პროცესი ხარჯთეფექტიანი იყოს.

იმ სოფლებში საიდანაც უკვე ხდება ნარჩენების გამოტანა და განთავსებულია ნარჩენების შეგროვების კონტეინერები, საჭიროა დაამატოს ახალი ურნები, რადგანაც კონტეინერები არ არის საკმარისი რაოდენობის და ამასთანავე აუცილებელია კონტეინერების განთავსება იმ სოფლებში, სადაც ჯერ არ ხდება მომსახურების მიწოდება.

საჭიროა დაინერგოს სეპარაცია, ამისათვისაც საჭიროა სპეციალური ურნების ჩამატება .

უნდა მოხდეს არალეგალური ნაგავსაყრელების დეტალური აღწერა და შემდეგ გეგმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება დახურვა.

საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება და შემდგომში ნარჩენების მართვის პროცესში მათი ჩართვა, ამისათვის საჭიროა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, კონსულტაციები და მათთან ერთად, ჩვენი თანამონაწილეობით დასუფთავების ღონისძიებების მოწყობა. შესაძლებელია ამ პროცესში ახალგაზრდა და სკოლის მოსწავლეთა აქტივისტების ჩაბმაც.

დეკარბონიზაცია

კლიმატის ცვლილება დღევანდელი გარემოს უდიდესი გამოწვევაა და საზოგადოების ყურადღება წლიდან წლამდე იზრდება. 2015 წლის პარიზის შეთანხმება გადაწყვეტი იყო მოქმედების თვალსაზრისით, ვინაიდან 195 ქვეყანა შეთანხმდა გლობალური ტემპერატურის 2°C - მდე შეზღუდვაზე ადრე ინდუსტრიულ ეპოქაში ამ საუკუნის ბოლოსთვის და გააგრძელეს მუშაობა მისი შემცირებისთვის $1,5^{\circ}\text{C}$ - მდე. **დეკარბონიზაცია** ეს არის ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიების შემცირების პროცესი, განსაკუთრებით ნახშირორჟანგი (CO_2). მისი მიზანია დაბალი ემისიის გლობალური ეკონომიკის მიღწევა და კლიმატური ნეიტრალიტეტის მიღწევა ენერჯის გარდამავალი გზით.

ენერჯის ეფექტური გადასვლის პირველი გამოწვევა არის ელექტროენერჯის სექტორის სრულად დეკარბონიზაცია, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს ამ მიზნის დაუყოვნებლივ და კონკურენტუნარიან მიღწევას, განახლებადი ენერჯის ენერჯის წარმოების პორტფელში მზარდი ინტეგრაციის წყალობით. დადგენილია, რომ დაახლოებით განახლებადი ენერჯის გამომუშავების **65%** მიიღწევა **2030 წლისთვის** და **85%** **2050 წლისთვის**. ეს მოითხოვს გარკვეულ ქმედებებს, როგორცაა შემდეგი:

- განახლებადი ენერჯის ხელშეწყობა და კონკურენციის მექანიზმების ხელშეწყობა.
- ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და დიგიტალიზაციას აქვს სტაბილური და პროგნოზირებადი მარეგულირებელი ჩარჩო.
- შექმენით შესაძლებლობების მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისტემას აქვს აუცილებელი ძალა და მოქნილობა მდგრადი ფორმით.
- ხელი შეუწყოს ენერჯის მაღალეფექტურ შენახვას და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის მაღალი გამტარიანობის მართვას.

ნაწილი 7 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

ქალაქ გორში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ნარჩენების მართვის სისტემების ევროპული მაგალითების საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

| მუნიციპალიტეტი გორი | შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა წლების და თვეების მიხედვით | | | | | | | | | |
|------------------------|--|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| | 2018 | | 2019 | | 2020 | | 2021 | | 2022 | |
| | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი |
| იანვარი | 1250 | 1550 | 1200 | 1540 | 1280 | 1550 | 1290 | 1580 | 1300 | 1600 |
| თებერვალი | 1300 | 1500 | 1250 | 1550 | 1300 | 1580 | 1300 | 1600 | 1330 | 1680 |
| მარტი | 1300 | 1500 | 1300 | 1580 | 1300 | 1600 | 1300 | 1600 | 1380 | 1720 |
| აპრილი | 1350 | 1580 | 1300 | 1600 | 1320 | 1650 | 1350 | 1630 | 1400 | 1800 |
| მაისი | 1380 | 1600 | 1310 | 1600 | 1380 | 1630 | 1400 | 1700 | 1455 | 1870 |
| ივნისი | 1400 | 1650 | 1400 | 1670 | 1450 | 1700 | 1480 | 1700 | 1470 | 1900 |
| ივლისი | 1480 | 1700 | 1450 | 1700 | 1470 | 1700 | 1500 | 1800 | 1500 | 1950 |
| აგვისტო | 1500 | 1750 | 1460 | 1700 | 1500 | 1820 | 1580 | 1900 | 1560 | 2000 |
| სექტემბერი | 1470 | 1700 | 1400 | 1720 | 1530 | 1800 | 1600 | 1900 | 1600 | 1960 |
| ოქტომბერი | 1450 | 1700 | 1380 | 1650 | 1500 | 1780 | 1570 | 1890 | 1580 | 1910 |
| ნოემბერი | 1400 | 1600 | 1370 | 1630 | 1500 | 1780 | 1550 | 1850 | 1560 | 1900 |
| დეკემბერი | 1370 | 1550 | 1300 | 1600 | 1470 | 1750 | 1500 | 1800 | 1480 | 1800 |
| სულ: | 16,650 | 17,520 | 16,120 | 19,540 | 17,000 | 20,340 | 17,420 | 20,950 | 17,615 | 22,090 |

| რა რაოდენობის მუნიციპალური ნარჩენი შეგროვდა | | |
|---|--------|--------|
| | 2021 | 2022 |
| სკოლები | 3,2 ტ | 3,4 ტ |
| მაღაზიები | 50,0 ტ | 65 ტ |
| რესტორნები/სასტუმროები | 30,0 ტ | 35,0 ტ |
| მრეწველობა | | |
| სხვა ორგანიზაციები | 70,0 ტ | 78,0 ტ |

| | 2022 | | |
|---|--------|--------|---------|
| | სოფელი | ქალაქი | საშუალო |
| მოსახლეობის შეგროვებული ნარჩენების % | 87.70% | 95% | 91.35% |
| ორგანიზაციებისგან/ კომერციული დაწესებულებებისგან შეგროვებული ნარჩენების შემთხვევაში % | 10% | 30% | 10% |

ნაწილი 7 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

| ამოცანები | პრობლემები | განსახორციელებელი ღონისძიებები | შედეგი | მიღწევის ინდიკატორი | ვადა | პასუხისმგებელი სტრუქტურა | პარტნიორი | აქტივობის ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო |
|---|--|--|--|--------------------------------------|--------------------------------|--|---------------------------------|---|-----------------------------|
| მუნიციპალიტეტის სოფლებში სრული მომსახურების გაწევა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის კუთხით. პირველ წელს საჭიროა 130 ურნის შექმნა. 5 წელზე დაახლოვებით იქნება 600-700 ურნის ის შექმნა. აღნიშნული ურნები განთავსდება 35 სოფელში. რაც შეეხება | საჭიროა ავტოპარკის დამატება, და ტექნიკის შექმნა კერძოდ : (ნაგავსაყრელი მანქანები 3 ც, მუხლუხოიანი ტრაქტორი 1ც, და გადამტანი ლაფეტი 1ც.) აღნიშნული ტექნიკის შექმნის შემთხვევაში დაიხურება არალეგალური | ნაგავსაყრელები ს ლიკვიდაცია, ურნების განთავსების არეალის გაზრდა. ავტოპარკის დამატება. ტექნიკის შექმნა. | დასუფთავდება გარემო და საფრთხეს აღარ შეუქმნის მოსახლეობას. | მოსახლეობის 90%-ს, რომ მოვემსახუროთ. | 2023 წლიდან 2027 წლის ჩათვლით. | გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური | მუნიციპალური განვითარების ფონდი | პირველ წელს, 1,1 კუბ.მ მოცულობის ლითონის ურნების შექმნა 130 ცალი 117000 ლარი, 1ცალი მუხლუხოიანი ტრაქტორის შექმნა 130000 ლარი, 2 | გორის მუნიციპალიტეტის მერია |

| | | | | | | | |
|---|------------------------|--|--|--|--|---|--|
| <p>სეპარირების ხელშეწყობას პირველ რიგში უნდა მოხდეს დიდ სოფლებში სკოლებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურნების განთავსება .</p> | <p>ნაგავსაყრელები.</p> | | | | | <p>ცალი ღია ტიპის სატვირთო თვითმცლელი მანქანის შეძენა 100000 ლარი. მეორე წელს, 1,1 კუბ.მ მოცულობის ლითონის ურნების შეძენა 130 ცალი, 117000 ლარი. მესამე წელს, 1,1 კუბ.მ მოცულობის ლითონის ურნების შეძენა 130 ცალი, 117000 ლარი.</p> | |
|---|------------------------|--|--|--|--|---|--|

დანართი2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს

| N | მოსაკრებლის გადამხდელი | ზომის ერთეული | ნარჩენების დაგროვების ნორმა კუბ.მ თვეში | ერთი კუბ.მ ნარჩენის გატანის ღირებულება /ლარი/ | მოსაკრებლის განაკვეთი თვეში /ლარი/ |
|---|---|-------------------------|---|---|------------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები/ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |
| 2 | პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |

| | | | | | |
|----|--|-----------------------------|-------|-----|------|
| 3 | საავადმყოფოები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | ერთი საწოლი | 0,062 | 5,0 | 0,31 |
| 4 | სასტუმროები /ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | ერთი საწოლი | 0,062 | 5,0 | 0,31 |
| 5 | სასურსათო მაღაზიები (ხორცის მაღაზია, ფქვილით ვაჭრობის ობიექტები /სავაჭრო დარბაზი/ | ფართი ერთი კვ.მ | 0,041 | 5,0 | 0,21 |
| 6 | სამრეწველო მაღაზიები (ცემენტით სამშენებლო მასალებით ვაჭრობა, აფთიაქები /სავაჭრო დარბაზი/ | ფართი ერთი კვ.მ | 0,013 | 5,0 | 0,07 |
| 7 | რესტორნები, სასადილოები, კაფეები, ბარები და სხვა საზ.კვების ობიექტები | ერთი დასაჯდომი ადგილი | 0,13 | 5,0 | 0,65 |
| 8 | აბანოები, საუნები | ერთი კვ.მ | 0,03 | 5,0 | 0,15 |
| 9 | სკოლები, კოლეჯები, ინსტიტუტები, საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | ერთი მოსწავლე | 0,01 | 5,0 | 0,05 |
| 10 | თეატრები და კინოთეატრები | ერთი სავარძელი | 0,018 | 5,0 | 0,09 |

| | | | | | |
|----|---|--------------------------|-------|-----|------|
| 11 | დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო კლუბები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,03 | 5,0 | 0,15 |
| 12 | ვაგზლები, საავტომობილო და რკინიგზის სადგურები | ღია ფართის ერთი კვ.მ | 0,004 | 5,0 | 0,02 |
| | | დახურული ფართ. ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |
| 13 | ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,004 | 5,0 | 0,02 |
| 14 | მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,002 | 5,0 | 0,01 |
| 15 | საცხოვრები | სამუშაო ფართის ერთი კვ.მ | 0,03 | 5,0 | 0,15 |
| 16 | აგრარული ბაზრები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,02 | 5,0 | 0,10 |
| 17 | შერეული საქონლის ბაზრები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,01 | 5,0 | 0,05 |

| | | | | | |
|----|--|-------------------------------|-------|-----|------|
| 18 | სამხედრო ნაწილები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/ | ერთი სამხ. მოსამსახურე | 0,1 | 5,0 | 0,50 |
| 19 | ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები | ღია ფართის ერთი კვ.მ | 0,002 | 5,0 | 0,01 |
| | | დახურული ფართ.ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |
| 20 | სადალაქოები და სილამაზის სალონები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |
| 21 | ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,022 | 5,0 | 0,11 |
| 22 | ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,01 | 5,0 | 0,05 |
| 23 | საწარმო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,002 | 5,0 | 0,01 |
| 24 | მსხვილი სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები /საწარმოო წარჩენების გარდა/ | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,006 | 5,0 | 0,03 |
| 25 | მცირე სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით მიმდინარე | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,04 | 5,0 | 0,20 |

| | | | | | |
|----|--|--------------------------|-------|-----|------|
| | წარმოების საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები | | | | |
| 26 | სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტერიტორიები და მანქები /სატურნირო და სავარჯიშო ობიექტების გარდა/ | ღია ფართის ერთი კვ.მ | 0,002 | 5,0 | 0,01 |
| | | დახურული ფართ. ერთი კვ.მ | 0,01 | 5,0 | 0,05 |
| 27 | საწყობები, სასაწყობე მაცივრები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,004 | 5,0 | 0,02 |
| 28 | შხამ-ქიმიკატებით და მცენარეთა დაცვის საშუალებებით ვაჭრობის ობიექტები | საერთო ფართის ერთი კვ.მ | 0,001 | 5,0 | 0,10 |

1. მ = გxრ
2. მ - ერთი თვის მოსაკრებელი იურიდიული პირებისათვის (ლარი)
3. გ - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)

| ამოცანები | პრობლემები | განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა | | | პარტნიორი | აქტივობის ბიუჯეტი (ლარი) & დაფინანსების წყარო | მიღწევის ინდიკატორი |
|--|---|--|--|---|--|--|--|
| | | კონკრეტული საქმიანობა | განხორციელების ვადა | განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა | | | |
| 9. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე; | <ul style="list-style-type: none"> მოსახლების დაბალი ინფორმირებულობა ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ; ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებელი. | <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით (განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც ნარჩენების შეგროვება დაიწყება) მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ. | მინიმუმ 4 კამპანიის ჩატარება 2023–2026 წელს, ყოველწლიურად | გორის მუნიციპალიტეტის განათლების დეპარტამენტი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტივობების კოორდინირების მიზნით | 5,000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი | მინიმუმ 4 კამპანია ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ფარგლებში |
| | | <ul style="list-style-type: none"> იმ პროექტებთან და პროგრამებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებიც რეგონში მუშაობენ გარემოსდაცვის საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით | სემინარების მოწყობა სკოლებში რეგულარულად პროექტებთან მჭიდრო თანამშრომლობით 2024 წლიდან რეგულარულად | არასამთავრობო ორგანიზაციები | --- | ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა | |

3 საქართველოს კანონის “წარჩენების მართვის კოდექსი” მიხედვით, დიდგაბარიტიან წარჩენებს განეკუთვნებიან წარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება წარჩენების სათავსში.

4 საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მიხედვით, დიდგაბარიტიან ნარჩენებს განეკუთვნებიან ნარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება ნარჩენების სათავსში.